

სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების პირობები და ტარიფები

პირობები

1. დროებით შეჩერების მომსახურება ვრცელდება სილქნეტის ყველა პროდუქტზე, გარდა ცალკემდგომ ან სპეციალურ შეთავაზებაში შემავალ ს1-ი მობილური/CDMA უსადენო ფიქსირებულ სატელეფონო და EVDO-ინტერნეტ მომსახურებებისა;
2. მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია, რომ მომსახურებისთვის განკუთვნილ შესაბამის ანგარიშის ნომერზე არ ირიცხებოდეს მიმდინარე დავალიანება 5 (ხუთი) ლარზე მეტი ოდენობით;
3. იმ მომსახურებაზე, რომელზეც ვრცელდება წინასწარი გადახდის სისტემა, მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია მომსახურების შესაბამის ანგარიშის ნომერზე აბონენტს ერიცხებოდეს დადებითი ბალანსი არანაკლებ დროებით შეჩერების ერთი თვის ღირებულების ოდენობისა;
4. დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა და გადახდა ხდება მომსახურების ყოველთვიური სააბონენტოს გადახდის წესის ანალოგიურად;
5. დროებით შეჩერების მაქსიმალური პერიოდია მომსახურების დროებით შეჩერების დღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 11 (თერთმეტი) თვე;
 - 5.1. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ (თუ მანამდე არ მოხდა აბონენტის მიერ მომსახურების გააქტიურება), მოხდება დროებით შეჩერებული მომსახურებ(ებ)ის ავტომატური გააქტიურება;
6. თითოეული მომსახურების დროებით შეჩერების მოთხოვნა დასაშვებია კალენდარული თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ;
7. დროებითი შეჩერების ღირებულების გადაუხდელობის, ან დადებითი ბალანსის ამოწურვის შემთხვევაში (მომსახურებისთვის, რომელზეც ვრცელდება წინასწარი გადახდის სისტემა), შეწყდება დროებით შეჩერების მომსახურება (რეჟიმი) და შეჩერებული მომსახურებები გადავა შეზღუდვის რეჟიმში, იმის მსგავსად, თუ რომელ რეჟიმში გადავიდოდა ორმხრივად ჩართული მომსახურებები ყოველთვიური ღირებულების გადაუხდელობისას (კონკრეტული მომსახურებისათვის დადგენილი სტანდარტული პირობებით);
8. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ანგარიშის ნომერზე არის გააქტიურებული ცალკემდგომი მომსახურებები, აბონენტს აქვს შესაძლებლობა ცალ-ცალკე ან/და ერთდროულად შეაჩეროს მისთვის სასურველი მომსახურებები (შესაბამისი ცალკემდგომი მომსახურების სტანდარტული პირობების შესაბამისად);
 - 8.1. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ანგარიშის ნომერზე არის ფიქსირებული სადენიანი ქსელის სატელეფონო და დსლ ინტერნეტ მომსახურება და აბონენტს სურს მხოლოდ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების დროებით შეჩერება, ავტომატურად მოხდება ორივე მომსახურების ერთდროული დროებითი შეჩერება და ორივე მომსახურებას ცალ-ცალკე დაერიცხება შეჩერების შესაბამის საფასური.
9. მომსახურებ(ებ)ის შეჩერებისა და მიწოდების საფასურები დაანგარიშდება შეჩერებისა და მიწოდების დღეების პროპორციულად.

ტარიფები

მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულება	
პროდუქტის დასახელება	ღირებულება ლარში
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	1.50
ოპტიკური სატელეფონო მომსახურება	1.50
ს1 ორმაგი შეთავაზება *	1.50
დსლ ინტერნეტ მომსახურება	5.00
ოპტიკური ინტერნეტ მომსახურება	5.00
სილქნეტ Wi-Fi ინტერნეტ მომსახურება	5.00
დსლ/ოპტიკური სილქ ტვ	5.00
ოპტიკური ორმაგი შეთავაზება (ინტერნეტი+ტვ)	10.00
ს1 სამმაგი შეთავაზება *	10.00
სამმაგი შეთავაზება	10.00
ოთხმაგი შეთავაზება *	10.00

შენიშვნა: * დროებით არ ჩერდება სპეციალურ შეთავაზებაში შემავალი ს1-მობილური სატელეფონო მომსახურება